შ.პ.ს „ სოფმარ 2020 “
“ SOFMAR 2020” LTD

No 1 /2021

„-2-„-- თებერვალი--„ 2021 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან ,

გაცნობებთ, რომ შპს „სოფმარ 2020“ ქ.ფოთში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე გეგმავს ნაყარი ტვირთების (სპილენძის, თუთიის და ძვირფასი ლითონების კონცენტრატები) დროებითი შენახვის, დახარისხებისა და გადატვირთვის პუნქტის მოწყობა-ექსპლუატაციას.
რადგან დაგეგმილი საქმიანობა განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, კომპანიამ ამავე კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად გაიარა სკრინინგის პროცედურა.
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის N1065 ბრძანებით მიღებული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ფოთში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე შპს „სოფმარ 2020“-ის ნაყარი ტვირთების დროებითი შენახვის, დახარისხებისა და გადატვირთვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. შპს „სოფმარ 2020“ ვალდებულია გაიაროს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურა.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის ანგარიშს.

წერილს თან ერთვის:

- სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია - 1 ეგზემპლიარი ;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია ;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები , shape ფაილის სახით;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „სოფმარ 2020“-ის რეგიტრაციის თაობაზე;

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და საქართველოს კანონის “გარემოს დაცვითი შეფასების კოდექსის “ მე-9 მუხლის შესაბამისად, შპს „სოფმარ 2020“ -ის სახელზე გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

პატივისცემით
ვახტანგ ალანია
შპს „სოფმარ 2020“ -ის
დირექტორი

საქართველო, ქ.ფოთი , თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, ნავსადგურის ყოფილიექსტენსიური
განვითარების ზონა, შენობა N 1B 7T421
ტელ: +(995) 571 750495 / E-mail: wakhtang@sofmar.ge

Sofmar 2020 LLC • შპს სოფმარ 2020
Sofmar 2020
ფოთი
N 1350
03" 02 2021
02